



Delivering Progress


საგარეო ვაჭრობა - I კვარტალი, 2015

ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები

გამოცემა #47 / 12.06.2015

2015 წლის პირველ კვარტალში საქონლის რეგისტრირებული სავაჭრო ბრუნვის მოცულობამ 2 277.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რომლის 77.9% იმპორტი, ხოლო 22.1% ექსპორტია. ამ პერიოდში შემცირებულია როგორც საქონლის რეგისტრირებული ექსპორტის (-28%), ასევე იმპორტის (-3%) მოცულობა 2014 წლის პირველ კვარტალთან შედარებით. ექსპორტის მოცულობის შემცირება მეტწილად გამოწვეულია დსთ-ს ქვეყნებში ექსპორტის შემცირებით (-55%; -216.4 მლნ.დოლარი), მაშინ როცა ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტი გაზრდილია (21%; 29,6 მლნ.დოლარი). დსთ-ს ქვეყნებში ექსპორტის შემცირება განაპირობა აზერბაიჯანში (-82 მლნ.დოლარი), უკრაინაში (-42 მლნ.დოლარი), სომხეთსა (-41 მლნ.დოლარი) და რუსეთში (-40 მლნ.დოლარი) ექსპორტის მნიშვნელოვანმა კლებამ. ამიტომ ექსპორტის დივერსიფიცირება ქვეყნების მიხედვით კვლავ მნიშვნელოვან საკითხად რჩება.

2015 წლის აპრილში ექსპორტის ისევე, როგორც იმპორტის მოცულობა განაგრძობს შემცირებას (-21%; -19%), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წლის წინა თვეებთან შედარებით იმპორტის კლება გაზრდილია, ხოლო ექსპორტის კლება კი შემცირებული.




წყარო: საქსტატი

2015 წლის I კვარტალში ქვეყანაში იმპორტირებული ხუთი უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფია: ნავთობის აირები (12.8%), მსუბუქი ავტომობილები (11.5%), ნავთობი და ნავთობპროდუქტები (11%), სამკურნალო საშუალებები (5.9%) და სპილენძის მადანი (4.3%).


2015 წლის I კვარტალში საქართველოდან ექსპორტირებული ხუთი უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფია: სპილენძის მადანი (12.2%), მსუბუქი ავტომობილები (11.5%), თხილი (10.3%), ფეროშენადნობები (9.6%) და სამკურნალო საშუალებები (5%).

იმპორტი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით, 2013-2015



წყარო: საქსტატი

ექსპორტი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით, 2013-2015



წყარო: საქსტატი

ნავთობის აირები იმპორტირდება ძირითადად აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან; მსუბუქი ავტომობილები - იაპონიიდან, აშშ-დან, გერმანიიდან, კორეიდან და დიდი ბრიტანეთიდან; ნავთობი და ნავთობპროდუქტები - რუმინეთიდან, აზერბაიჯანიდან, ბულგარეთიდან და თურქმენეთიდან; სამკურნალო საშუალებები - თურქეთიდან, გერმანიიდან, უნგრეთიდან, საფრანგეთიდან, ავსტრიიდან და ბულგარეთიდან; სპილენძის მადანი - სომხეთიდან და მაროკოდან.

სპილენძის მადანი ექსპორტირდება ძირითადად ბულგარეთსა და ჩინეთში; მსუბუქი ავტომობილები - აზერბაიჯანში, სომხეთში, ბელგიასა და არაბთა გაერთიანებულ ემირატებში; თხილი - იტალიაში, გერმანიაში და ესპანეთში; ფეროშენადნობები - აშშ-ში, რუსეთში, უკრაინასა და კანადაში; სამკურნალო საშუალებები - უზბეკეთში, აზერბაიჯანსა და თურქეთში.


2014 წლის I კვარტალთან შედარებით გაზრდილია თხილის (2.4-ჯერ), სპილენძის მადნისა (19%) და სამკურნალო საშუალებების (83.9%) ექსპორტი.

2015 წლის I კვარტალში გაზრდილია სპილენძის მადნის (41.7%), ნავთობის აირების (11%) და სამკურნალო საშუალებების (9.3%) იმპორტი 2014 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.


ამ პერიოდში მნიშვნელოვნად არის შემცირებული მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი (-62%), რაც გამოწვეულია აზერბაიჯანის მიერ 2014 წლის აპრილში მიღებული ევრო-4-ის გარემოსდაცვითი სტანდარტით, რომელიც ზღუდავს ევროკავშირის ქვეყნებში 2005 წლამდე, ხოლო აშშ-სა და იაპონიაში 2011 წლამდე წარმოებული ავტომობილების იმპორტს.

ამ პერიოდში შემცირებულია ნავთობის და ნავთობპროდუქტების (-31.8%) და მსუბუქი ავტომობილების (-10.2%) იმპორტის მაჩვენებლები.

შემცირებულია ასევე ფეროშენადნობების (-31%) ექსპორტი.



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი

2015 წლის I კვარტალში იმპორტში საქართველოს ხუთი უმსხვილესი პარტნიორი ქვეყანაა: თურქეთი (27.3%), ჩინეთი (14.3%), აზერბაიჯანი (12.8%), რუსეთი (12.2%) და გერმანია (9.8%).

ამ პერიოდში გაიზარდა იმპორტი რუსეთიდან (16.3%), გერმანიიდან (14.2%), ჩინეთიდან (7.3%) და თურქეთიდან (0.03%), ხოლო შემცირდა აზერბაიჯანიდან (-16.7%) 2014 წლის პირველ კვარტალთან შედარებით.

თურქეთიდან იმპორტირებულია, ძირითადად: სამკურნალო საშუალებები, ძრავები, მეტალოკონსტრუქციები შავი ლითონებისგან და მათი ნაწილებისგან, მილები და მილაკები, მავთულები, ბავშვის სახვევები, სარეცხი და სანმენდი საშუალებები;

ჩინეთიდან - გამომთვლელი მანქანები, მეტალოკონსტრუქციები შავი ლითონებისგან, სატელეფონო აპარატები, მაცივრები და საყინულე მოწყობილობები, ავეჯი, სარეცხი მანქანები, რეზინის სალტები და საბურავები;

აზერბაიჯანიდან - ნავთობის აირები, ნავთობი და ნავთობპროდუქტები, თაბაშირი, ელექტროენერჯია, პულტები, მარგარინი, ჩაი და ზეთი;

რუსეთიდან - ხორბალი და მესლინი, ნავთობის აირები, ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ელექტროენერჯია, შოკოლადი, ზეთი და სამკურნალო საშუალებები;

გერმანიიდან - მსუბუქი ავტომობილები, სამკურნალო საშუალებები, მედიცინასა და ვეტერინარიაში გამოსაყენებელი ხელსაწყოები და მოწყობილობები, რეზინის პნევმატური

2015 წლის I კვარტალში ექსპორტში საქართველოს ხუთი უმსხვილესი პარტნიორი ქვეყანაა: აზერბაიჯანი (12.7%), ბულგარეთი (10.3%), თურქეთი (8.1%), სომხეთი (6.7%) და რუსეთი (5.4%). ამ პერიოდში ექსპორტი გაიზარდა ბულგარეთში (20.3%), ხოლო შემცირდა რუსეთში (-59.7%), აზერბაიჯანში (-56.4%), სომხეთსა (-55.2%) და თურქეთში (-17.4%) 2014 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

აზერბაიჯანში ექსპორტირდება მსუბუქი და სატვირთო ავტომობილები, სამკურნალო საშუალებები მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ცემენტი, მინერალური და გაზიანი წყლები და წნელები ნახშირბადიანი ფოლადისგან.

ბულგარეთში ექსპორტირდება სპილენძის მადნები, ნედლი ნავთობი და ნავთობპროდუქტები, სასუქები და ფეროშენადნობები.

სომხეთში ექსპორტირდება მსუბუქი და სატვირთო ავტომობილები, სასუქები, კოპტონი, სიმინდი, სამკურნალო საშუალებები და ელექტროენერჯია.

რუსეთში ექსპორტირდება ღვინო, მინერალური წყლები, სპირტიანი სასმელები, ფეროშენადნობები, მსუბუქი ავტომობილები და თხილი.

თურქეთში ექსპორტირდება სასუქები, ნახევარფაბრიკატები, ელ. ენერჯია, ფქვილი, თბილი მაისურები, თევზი, წნელები ნახშირბადიანი ფოლადისგან, სამკურნალო საშუალებები.

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები	2012	2013	I 2014*	II 2014*	III 2014*	IV 2014*	2014*	I 2015*
ნომინალური მშპ (მლნ. დოლარი)	15846.8	16139.9	3605.3	4064.1	4320.4	4527.8	16528.5	
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (დოლარი)	3523.4	3599.6	802.9	905.0	962.1	1 008,3	3680.8	
მშპ-ს რეალური ზრდა	6.4%	3.3%	7.2%	5.2%	5.6%	1.8%	4.8%	
სამომხმარებლო ფასების ინდექსი (საშუალო წლიური)	99.1	99.5					103.1	
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ. დოლარი)	911.6	941.9	265.3*	150.5*	507.5*	349.2*	1 272.5*	175.3*
უმუშევრობის დონე	15%	14.6%					12.4%	
საგარეო ვალი (მლნ.დოლარი)	4739	4202					4249.9	
სიღარიბის დონე (რეგისტრირებული)	9.7%	9.7%					11.6%	

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
საქართველოს ეროვნული ბანკი

UN ComTrade (<http://comtrade.un.org/db/>)

* წინასწარი